

ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის

(ისტორიული ცნობა)

[1905]

ქართული ეკლესიის განახლებისა და აღორძინების საკითხმა ამ უკანასკნელ წლებში ძლიერად მოიკვამი ქართული საზოგადოებრიობა და სამღვდელთა. ინტერესი ამ საკითხისადმი ჩვენს ხანაში კიდევ უფრო გაიზარდა იმის წყალობით, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე კავკასიის მეფისნაცვალს პეტრეცია მიართვეს საქართველოს ორივე გუბერნიის ქალაქის თავებმა, თავადაზნაურთა წინამძღოლებმა და ქართული ეკლესიის სხვა წევრებმა, რომელთა შორის იყვნენ მთელ ქვეყანაში ცნობილი პირები.

ამ გარემოების გამო დროულად მიგვაჩნია მივსცეთ ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ბედის შესახებ.

ქართულმა ეკლესიამ, რომელიც წარმოიშვა მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქართველების მიერ მოციქულთასწორი ნინოსაგან ქრისტიანობის მიღებისას, თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე განვლო სამი მთავარი პერიოდი: ანტიოქიური, ნაციონალური და რუსული.

პირველი - ანტიოქიური პერიოდი გრძელდებოდა [. . .] წელიწადზე მეტს და ატარებდა წმინდა ბიუროკრატიულ, ჩინოვნიკურ ხასიათს. ქართული ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა გარეგანი ძალის, უცხო ხელისუფლის, ანტიოქიის პატრიარქის მიერ. ინიშნებოდა არა ქართველთაგან, არამედ ბერძენთაგან, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ მრევლთან. ეს გრძელდებოდა V საუკუნემდე. ამ საუკუნეში, ენერგიული ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლანის დროს, ქართული ეკლესია ღებულობს ავტონომიას, ხოლო მისი ეპისკოპოსი - კათალიკოსის ტიტულს, მაგრამ ეს იყო ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური ავტონომია. რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება - თვითონვე შეერჩია და დაენიშნა კათალიკოსი, ხოლო კათალიკოსად მუდამ ბერძენი ინიშნებოდა. ამ ჩინოვნიკმა კათალიკოსმა გაძლო ასი წელიწადი. მიუხედავად ქართველების ყველა ღონისძიებისა - მიეცათ მისთვის ცოცხალი, ნაციონალური ხასიათი. მხოლოდ მეექვსე საუკუნეში, მეფე ადარნასეს დროს, ქართულმა ეკლესიამ პირველად შეძლო მოეპოვებინა უფლება იმისა, რომ სათავეში ჰყოლოდა არჩეული კათალიკოსი, საქართველოს ნამდვილი შვილი. მხოლოდ ამ მომენტიდან იცვლება ანტიოქიური პერიოდი ნაციონალურით, ჩინოვნიკურ-უწყებრივი - არჩევნობითობით, და ქართული ეკლესიის სათავეში, ნაცვლად ანტიოქელი არქიეპისკოპოსებისა, დგებიან ქართველ ეპისკოპოსთა კრების მიერ მრევლის მონაწილეობით არჩეული ბუნებით ქართველები და ავტონომიური კათალიკოსის ტიტული უკვე წარმოადგენს არა ცარიელ სიტყვას, არამედ რეალურ სინამდვილეს. თუ რა მკვდარ ორგანიზმს წარმოადგენდა ქართული ეკლესია ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული პერიოდის მთელ მანძილზე და როგორ გაცოცხლდა ეს ორგანიზმი, როგორ აღვისო ძალითა და ენერგიით არჩევნობითი სისტემის შემოღებისას, ამას ქვემოთ დავინახავთ, ახლა კი განვაგრძოთ ეს ისტორიული ცნობა.

იმ საფრთხის პირობებში, რომელშიც მაშინ ქართველი ხალხი და მისი ეკლესია იმყოფებოდა, მმართველობის შაბლონური გზა არაფრად არ ვარგოდა, ეს კარგად ესმოდათ მაშინდელ ქართველებს და ამიტომ არაიშვიათად კათალიკოსის პოსტზე ირჩევდნენ არა უხუცეს მიტროპოლიტს, არამედ ახალგაზრდა, ნიჭიერ ეპისკოპოსს, რომელიც ყველაზე მეტ იმედებს იძლეოდა სარწმუნოებისა და ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში. უფრო მეტიც, როცა არ

ჰყავდათ კათალიკოსის პოსტისთვის სავსებით შესაფერი კანდიდატი ბერად აღკვეცილი სამღვდელოებიდან, ქართველები, წინააღმდეგ ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის მაშინდელი ჩვეულებისა, თამამად ირჩევდნენ ღირსეულს, თეთრი, ცოლიანი სამღვდელოებიდან. ქართულ მატიაწებში დასახელებულია ცხრა ასეთი დაოჯახებული, ცოლიანი კათალიკოსი. ასეთი არჩევანი თუმცა ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ საეკლესიო პრაქტიკას, მაგრამ არ შეიძლება გაპროტესტებული ყოფილიყო მსოფლიო პატრიარქის მიერ, რადგან მას სრული გამართლება ჰქონდა პირველდაწყებითი სამოციქულო ეკლესიის მაგალითებით და ეყრდნობოდა მოციქულის შემდეგს სიტყვებს: „რითაც მოციქული ეპისკოპოსობის ნებას აძლევდა ოჯახიან პირს და ამ თანამდებობისადმი გზას უღობავდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მეორედ იყვნენ დაქორწინებული.“

ნაციონალურ-არჩევითი პერიოდი თავის მხრივ იყოფა ორ ქვეპერიოდად: ავტონომიური ანუ კათალიკოსური პერიოდი და ავტოკეფალიური ანუ პატრიარქის პერიოდი. პირველ პერიოდში არჩეული კათალიკოსისათვის საჭირო იყო ანტიოქიის პატრიარქის სანქცია და, გარდა იმისა, ქართულ ეკლესიას უფლება არ ჰქონოდა თვითონ მოემზადებინა მირონი, ვალდებული იყო იგი მიეღო ანტიოქიიდან, რისთვისაც ყოველწლიურად გარკვეულ თანხებს ხარჯავდა. ყოველივე სხვა მხრივ კი საქართველოს კათალიკოსი სრულიად დამოუკიდებელი იყო და ანტიოქიის პატრიარქს არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო ქართული ეკლესიის მართვაში.

ეს ნორმალური დამოკიდებულება გრძელდებოდა მერვე საუკუნემდე, როცა ქართველთა დაჟინებითი მცდელობისა და ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევის წყალობით ანტიოქიის პატრიარქი იძულებული გახდა უარი ეთქვა კათალიკოსის არჩევის დადასტურების უფლებაზე და ქართული ეკლესიისათვის მიენიჭებინა მირონის მომზადების უფლება. ამ მომენტიდან წყდება ნომინალური დამოკიდებულება და ავტონომიური კათალიკოსი ხდება თვითმეთაური, სრულიად საქართველოს დამოუკიდებელი ავტოკეფალიური პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სამღვდელოება ერისკაცების მონაწილეობით. ავტოკეფალიური მეთაურის რეზიდენციად ხდება დედაქალაქი მცხეთა, რის გამოც იგი ატარებს ტიტულს მცხეთის პატრიარქისას, რომელიც სავსებით დამოუკიდებლად მართავს არა მარტო სრულიად საქართველოს ეკლესიას დაღესტნიდან შავ ზღვამდე, არამედ მომიჯნავე მართლმადიდებელ ტომებსაც, რომლებიც კავკასიის ქედის გაღმა და გამოღმა მხარეს ცხოვრობდნენ.

მაგრამ ამასთან ერთად დასავლეთ საქართველოს მიტროპოლიტი სარგებლობდა სრული ავტონომიით შინაგან მმართველობაში, ხოლო ზოგჯერ კათალიკოსადაც იწოდებოდა და ეს არავითარ პროტესტს არ იწვევდა მცხეთის პატრიარქის მხრივ, რომლის უმაღლესობას იგი ყოველთვის სცნობდა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დადასტურებული იყო ჯერ ადგილობრივი, ანტიოქიის, ხოლო შემდეგ - მეექვსე მსოფლიო კრების მიერ. ამიტომ ანტიოქიის კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქები მცხეთის პატრიარქს ყოველთვის ისე ეპყობოდნენ, როგორც მათ ტოლს, და საეკლესიო კრებებზე ივერიის ეკლესიის წარმომადგენლები სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, რითაც სხვა ავტოკეფალიური ეკლესიის წარმომადგენლები. ასევე ქართული ეკლესიის, როგორც დამოუკიდებლის, წარმომადგენელი ესწრებოდა რუსული ეკლესიის კრებასაც 1666 წელს როცა ასამართლებდნენ პატრიარქ ნიკონს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქართული ეკლესიის უფლებები დამოუკიდებელი მმართველობის დარგში მოპოვებულ იქნა არა შუამდგომლობათა გზით ანტიოქიის პატრიარქის წინაშე, რომელიც მათ ჯიუტად უარყოფდა, არამედ, ასე ვთქვათ,

ნახევრადრევოლუციური გზით. ასე, მაგალითად ქართველები თავისი არქიეპისკოსისაგან მოითხოვდნენ, რომ მას ეკლესია ემართა დამოუკიდებლად, ანტიოქიის პატრიარქისგან დამოუკიდებლად. იგიც ამას აკეთებდა. ანტიოქიის პატრიარქმა პროტესტი განაცხადა და მუქარა დაიწყო. მაგრამ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მას ურჩია, რომ დიდი უბედურების თავიდან აცილების მიზნით დაედასტურებინა ავტონომია, რომელიც ფაქტიურად თვით ქართველებმა დაიწყეს. ანტიოქიის პატრიარქი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, იმავე პატრიარქს არაფრის გულისათვის არ უნდოდა ქართული ეკლესიისათვის მიეცა მირონის დამზადების ნება; მაგრამ, როცა პატრიარქის ჯიუტობის გამო მოთმინებიდან გამოსულმა ქართველებმა თვითნებურად დაიწყეს მირონის დამზადება, მაშინ პატრიარქი, რომელსაც არც პლასტუნები ჰყავდა და არც დრაგუნები, დათმობაზე წავიდა, მთელს ამ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდა ეკონომიური მატერიალიზმი, რომელსაც წმინდა მამები სიტყვებით ასე გააფთრებით უარყოფენ, მაგრამ საქმით არანაკლებ სწამთ, ვიდრე ცოდვილ ეკონომისტებს. საქმე ისაა, რომ ანტიოქიის პატრიარქს საქართველოში ჰქონდა ვრცელი მამულები, რომლებიც სხვადასხვა დროს მას შესწირეს ქართველმა მეფეებმა და დიდებულებმა. ამ მამულებს მართავდა ანტიოქიელი ილუმენი, რომელიც პატრიარქს ყოველწლიურად დიდძალს ფულს უგზავნიდა. ქართველებთან ყოველგვარი მძაფრი შეტაკებისას პატრიარქს ეშინოდა ამ მამულების კონფისკაციისა და ეს შიში აიძულებდა მას დაედასტურებინა ქართველი სამღვდელოებისა და ქართველი მრევლის მიერ ჩადენილი წმიდა რევოლუციური აქტები.

მაგრამ ქართული ეკლესიის ერთმმართველობა, - ერთთავობა შეწყდა XV საუკუნეში. ამ დროს დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად გამოეყო აღმოსავლეთ საქართველოს, შექმნა საკუთარი სამეფო და არაიშვიათად ეწეოდა ბრძოლას ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ამის შედეგად ერთიანი ნაციონალური პატრიარქატი გაიყო ორ დამოუკიდებელ ნახევრად. დასავლეთ საქართველო ირჩევს თავის კათალიკოსს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დასავლეთ საქართველოს მთავარი მიტროპოლიტი ავტონომიური მეთვალყურედან გადაიქცევა ავტოკეფალიურ მეთაურად და მრევლს მართავს სრულიად დამოუკიდებლად მცხეთის პატრიარქისაგან, თუმცა თეორიულად კვლავაც ცნობს მის უმაღლესობას. ქართული ეკლესიის ეს ორმმართველობა, ორუფროსობა გრძელდება თითქმის ოთხ საუკუნეს და მხოლოდ 1875 წელს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მხრივ კვლავ უქვემდებარდება აღმოსავლეთ საქართველოს, ერთმმართველობა კვლავ მკვიდრდება ეკლესიაში. საქართველოსა და მცხეთის პატრიარქი - კათალიკოსი კვლავ ხდება სრულიად საქართველოს ეკლესიის ერთმმართველი, მეთაური. ამგვარად, ერთიანი სასულიერო ორგანიზმის სახით, ქართული ეკლესია ქართველ ხალხთან ერთად XIX საუკუნის დასაწყისში შედის რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა. მაგრამ როგორი? კიდევ უფრო ბიუროკრატიული, ვიდრე ანტიოქიური. სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსს უმორჩილებენ ძალადმმართველ სინოდს წმინდა ბიუროკრატიულ კოლეგიას. მის წევრებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავს, აჯილდოებს და სამუშაოდან ითხოვს საერო ბიუროკრატი, რომელსაც სინოდის ობერპროკურორი ეწოდება. მაგრამ დამოკიდებული კათალიკოსიც არახელსაყრელი აღმოჩნდება: იგი, ძველი ჩვეულებისამებრ და სინდისისა და მოვალეობის კარნახით, თავისი მრევლის ინტერესებს უფრო ეხმარება, ვიდრე პეტერბურგის სასულიერო ბიუროკრატას, და მას აყენებენ თანამდებობიდან, აუქმებენ კათალიკოსატს და აწესებენ რუსულ საეგზარქოსოს, რომელიც მთლიანად ემორჩილება წმ. სინოდს. არჩევითი საფუძველი სრულიად იცვლება და მის ნაცვლად შემოდის ადმინისტრაციული დანიშვნების სისტემა. პირველ ეგზარქოსად ნიშნავენ ყველაზე წყნარ, ყველაზე მორჩილ ქართველ

მიტროპოლიტს, მაგრამ მასშიც ცოცხალი აღმოჩნდება ძველი ქართული სული და ამიტომ მას მალე ათავისუფლებენ დასასვენებლად და რუსეთშიც კი გაიწვევენ, სადაც, საყვარელი სამშობლოსაგან გადახვეწილი, ამთავრებს თავის ცხოვრებას. საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება ფეოფილაკტ რუსანოვი, რომელიც აწესებს ქართული ეკლესიის დენაციონალიზაციის, მისი ნაჩქარევი გარუსების, გაუპიროვნების უწესრიგო სისტემას. მას რუსეთიდან ქართულ ნიადაგზე გადმოაქვს ბერძნულ-ლათინურ-სლავური სასულიერო სემინარია ყოველგვარი ცვლილების და ადგილობრივ გარემოსთან შეთანხმების გარეშე. სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი იქამდე მიდის, რომ ამ სემინარიაში ყველა საგანი ისწავლება მხოლოდდამხოლოდ რუსულ ენაზე და ქართული ენის ცალკე კათედრაც კი უარყოფილი და გამორიცხულია. უფროსებისა და მასწავლებელთა პერსონალი შედგება რუსებისაგან, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ქართველ ხალხთან.

და ეს მკაცრი სისტემა, რომელიც გამსჭვალულია წმინდა ფსიქოპათრიური სიძულვილით ყოველივე ქართულისადმი, გამოყენებული იყო ისე უღმობლად, რომ 1819 წლიდან დაწყებული ჩვენს დრომდე, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეგზარქოსად ერთჯერაც არ ყოფილა დანიშნული ქართველი, თუმცა ქართველ სასულიერო პირთა შორის იყვნენ ისეთი მაღალგანათლებული და ფრიად ღირსეული იერარქიები, როგორც, მაგალითად, იმერეთის განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი, - პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრი, ფილოსოფოსი-ღვთისმეტყველი, რომელსაც საქართველოს სამრევლო ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე თვლიდა წმინდანად მკაცრი ასკეტური ცხოვრებისა და ჭეშმარიტად მოციქულისებრი მოღვაწეობის გამო.

შემდეგ წესად შემოვიდა, რომ ქართული სასულიერო სამინარის რექტორის პოსტზე საერთოდ სრულიად არ დაენიშნათ ქართველი. ეს წესი არ წარმოადგენს ერთეულ გამონაკლისს მთელი საუკუნის მანძილზე, თუმცა ქართველებს შორის იყვნენ ფრიად ღირსეული და სრულუფლებიანი პირები - ღვთისმეტყველების კანდიდატები და მაგისტრები. ეს სისტემა ქართული ელემენტის გაუქმებისა და შევიწროვებისა მიყვანილი იყო ყველაზე მძაფრ უკიდურესობამდე .

ქართული ეკლესიის მმართველობის ბიუროკრატიული და ნაციონალურ-საარჩევნო სისტემის ღირსებების შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა გავცნოთ იმას, თუ რა ნაყოფს იძლეოდა ერთიგა და მეორე სისტემაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამას ჩვენ მეორე სტატიაში გავაკეთებთ....